

პროექტის განმარტება

პროექტი №№ VV-61/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მთაწმინდა-კრწანისის საქსელო რ-ის ტერიტორიაზე ც.გ.პ. №6025-დან გამომავალი მ/ძ-ის (6კვ.) მიწისქვეშა საკაბელო ქსელების ამორტიზებული მონაკვეთების შეცვლას (ც.გ.პ.)ს/ჯ № 4317-ის (1—2) მიმართულებებზე.

გაითხაროს საკაბელო ტრანში საქანელას ქ-ზე პოზიცია №1-დან გრუნტში ს/ჯ № 4317-ის მ/ძ-ის ნაკვეთურამდე 2ც. კაბელისათვის, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, მოეწყოს საკაბელო ბალიში წერილფრაქციური ქვიშით, ჩაიდოს 2ც. ძალოვანი კაბელი NA2XSEY2 (3*240RM/25)mm² კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ამოღებული გრუნტი, ქვიშა-ხრეში – დაიტკეპნოს, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ამოღებული გრუნტი – დაიტკეპნოს და ს/ჯ-თან დაიგოს ასფალტი.

ც.გ.პ. №6025-ში გაითიშოს ზემოაღნიშნული მიმართულებების უჯრედები, დაედოს დამიწებები გამავალ დენგამტარ ნაწილებს, პოზიცია №1-ზე არსებულ ფოლადის საყრდენზე ჩაიხსნას კაბელი საჰაერო შიშველი ხაზებიდან, ახალ ჩადებულ კაბელებს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, საყრდენზე გატარდეს არსებულ ფოლადის მილებში, დამაგრდეს მასზე და შეერთდეს არსებულ საჰაერო შიშველ ხაზებზე პარალელურად დაღარული მომჭერების საშუალებით.

ც.გ.პ. №6025-ში უჯრედების დენგამტარ ნაწილებზე მოიხსნას დამიწებები, ქსელის იზოლიაციის სიდიდეები შემოწმდეს მეგაომმეტრის საშუალებით და მისი დასაშვებ ნორმებში არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ქსელი ჩაყენებული იქნას ძაბვის ქვეშ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პროექტი № VV-61/17	
ფ. №	ფ. რ.
2	4